საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2018

საჩივრის რეგისტრაციის №169/18

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. მ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 6 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. გ.-მა და მოითხოვა ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ ოფისში შემთხვევით მოისმინა მისი სამართლებრივი პრობლემა და როდესაც შეიტყო, რომ საქმე გამყარებული იყო რამდენიმე ხელწერილით, თავადვე დაიბარა და დაჟინებით სთხოვდა, რომ მიემართა სასამართლოსთვის, ადვოკატმა განუმარტა, რომ ამით თავადაც ნახავდა სარგებელს მოპასუხისგან. ადვოკატის განუწყვეტელი თხოვნისა და სატელეფონო ზარების შემდეგ,

საჩივრის ავტორი დ. მ.-ს დათანხმდა საადვოკატო მომსახურების მიღებაზე და სასამართლოს მიმართეს. ადვოკატმა დ. მ.-მ ლ. გ.-ს რამდენჯერმე განუმარტა, რომ მოპასუხისაგან მიიღებდა 2800 ლარს და დამატებით ფოსტიდან გაგზავნილი შეტყობინების საფასურს 12 ლარს და 80 თეთრს (სულ 2812 ლარი და 80 თეთრი). მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ლ. გ.-ისგან აიღო ჰონორარი - 350 ლარი, შეწყვიტა მასთან კომუნიკაცია, აღარ პასუხობდა სატელეფონო ზარებზეც.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი დ. მ. თანამშრომლობს პროკურორებთან, რომლებმაც მას დაავალეს ისე ემოქმედა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხე მხარე გამართლებულიყო. აზუსტებს, რომ სასამართლომდე ადვოკატმა 8-ჯერ თხოვა მოპასუხისათვის თანხის 1/10 ნაწილი დაეთმო დროებით, რომ სასამართლო არ შემდგარიყო, რათა მოპასუხეს არ დაკისრებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საჩივრის ავტორს აქვს ეჭვი, რომ ადვოკატი პროკურორს დაპირდა საქმის მოგვარებას და 2012 წლიდან 2014 წლამდე სწორედ იმის გამო გააჭიანურა საქმე, რომ მოპასუხისათვის პირობითი მსჯავრი მოეხსნათ.

1.4 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა მას სასამართლოზე არ მისცა საშუალება, რომ საკუთარი პოზიცია გამოეხატა და დაჰპირდა, რომ დარჩენილ თანხას სხვა 2 პირს გადაახდევინებდა, ამ ორი პირის სასარგებლოდ პოლიციაში 2013 წლის 15 ივნისს იძულებით დააწერინეს ხელწერილი, რომლის მიხედვითაც შ. -ს და შ. ს ლ. გ.-ის მიმართ მხოლოდ 950 ლარი მართებდათ. ამასთან, ის ხელწერილიც წინასწარ დააწერინეს, რომლის მიხედვითაც შ. და შ. მას აძლევდნენ 950 ლარს, შემდეგ რეალურად გადასცეს 750 ლარი, ამ თანხას კი პოლიციის წინაშე ადვოკატმა გამოაკლო 20 ლარი სესხად. ამის შემდეგ შ. -ს დააწერინეს წერილი, რომ თანხის დარჩენილ ნაწილს თურქეთში გადასვლის და უკან დაბრუნების შემდეგ აანაზღაურებდა, საჩივრის ავტორი კი განმარტავს, რომ იგი დღემდე ელოდება 200 თუ 220 ლარს. ამის შემდეგ პროკურორებმა საქმიდან ამოიღეს 2013 წლის 15 ივნისს შედგენილი ხელწერილი და სასამართლოზე გამოძახებულ შ. -ს მოთხოვეს, რომ წარმოედგინა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც შ. ლ. გ.-ს 950 ლარს ჰპირდებოდა წინა მევალის - შოვნაძის სანაცვლოდ, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ გზით მათ გაათავისუფლეს შოვნაძე, რომელსაც იცავდა თავად პროკურორი.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მას ცილს წამებს, აბრალებს, რომ ფული ერთხელ უკვე აიღო და მეორეჯერ ითხოვს. ლ. გ. განმარტავს, რომ ადვოკატმა მოპასუხე მხარესთან გარიგების შემდეგ საქმიდან ამოიღო მოპასუხის მამხილებელი მასალები და ხელწერილები, მაგრამ შემთხვევით დარჩა ერთი ხელწერილი, რომელიც მოიპარა და ამოიღო საქმიდან მას შემდეგ, რაც მას ამის შესახებ ლ. გ.-მა აცნობა. ადვოკატი არ გაცნობია საქმის მასალებს და არაფერი გაუკეთებია საქმის წარმოებისთვის.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მიუთითებს არასწორ ფაქტზე, თითქოს ლ. გ. იურიდიული მომსახურებისათვის დამატებით შეპირდა 500 ლარის ანაზღაურებას. მას ადვოკატი საქმეზე საერთოდ არ სჭირდებოდა, თუმცა დათანხმდა მომსახურებაზე დ. მ.-ს და გადაუხადა 450 ლარი იმ პირობით, რომ ადვოკატი მოპასუხე მხარისაგან 2812.80 ლარს ამოაღებინებდა. დანაპირები თანხიდან მას მხოლოდ 500 ლარი გადაუხადეს, 2012 წელს მოვალის დედის მიერ დაწერილი ხელწერილის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც იგი 5 თვის განმავლობაში ყოველთვიურად გადაიხდიდა 100-100 ლარს. 2012 წელს აღებულ ფულს (400 ლარს) ადვოკატი მოიხმარდა 2015 წლის მარტამდე ისე, რომ ამის შესახებ ლ. გ.

არ იყო ინფორმირებული. 3 წლის შემდეგ მასთან მიიყვანა ყოფილი პროკურორი ა. და აიძულებდა, რომ ეს 400 ლარი მისთვის ესესხებინა. ლ. გ. არ იყო თანახმა ა. -სთვის ფული ესესხებინა, რადგან ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ფულს ვერ დაიბრუნებდა და ისევე დაკარგავდა, როგორც მისმა ახლობლებმა დაკარგეს. საბოლოოდ იგი დაითანხმეს, რომ 100 ლარი ესესხებინა, რომელიც სამი წლის განმავლობაში არ დაუბრუნებია და აცხადებს, რომ ეს თანხა მან არა სესხის, არამედ ჩუქების საფუძველზე მიიღო.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, თითქოს იგი მისაღებ თანხაზე პროცენტს ითხოვდა. სინამდვილეში პროცენტი იმ მიზნით ახსენა ხელწერილში, რათა ხაზი გაესვა ფაქტისთვის, რომ მაშინ, როცა მის თანხას სხვა მოიხმარდა თვითონ ბანკიდან პროცენტიანი სესხი ჰქონდა გამოტანილი.

1.8 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ეთიკის კომისია არასწორად მიუთითებს ფაქტზე, თითქოს მას ადვოკატმა მოვალისაგან აღებული თანხა - 500 ლარი გადასცა და აზუსტებს, რომ მან რეალურად ადვოკატისგან 400 ლარი მიიღო.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი დ. მ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

2.2 ლ. გ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 18 ოქტომბერს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ. მ. საქმის წარმოების დროს გაურიგდა მოპასუხე მხარეს, საქმიდან ამოიღო მოპასუხის მამხილებელი მასალები და ხელწერილები. თანამშრომლობდა პროკურორებთან, რომელთა მითითებით ყველაფერს აკეთებდა, რომ საქმე გაჭიანურებულიყო და მოპასუხის გამამართლებელი განაჩენი დამდგარიყო. ადვოკატი მას ცილს წამებს, აბრალებს, რომ სადავო ფული ერთხელ უკვე აიღო და მეორეჯერ ითხოვს. ადვოკატი არ გასცნობია მისი საქმის მასალებს და არაფერი გაუკეთებია მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატი 3 წლის განმავლობაში პირადი მიზნებისათვის მოიხმარდა კლიენტის მოვალისაგან მიღებულ თანხას, 3 წლის შემდეგ კი კლიენტს აიძულებდა აღნიშნული თანხა სხვისთვის ესესხებინა. ადვოკატმა თვითონ შესთავაზა ლ. გ.-ს, რომ სასამართლოსათვის მიემართა, კლიენტს მისცა ცრუ დაპირებები და შემდეგ თავად შეუშალა ხელი სასურველი შედეგის დადგომას.

4.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ 2016 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N053/16 ეთიკის კომისიამ შეაფასა ლ. გ.-ის პრეტენზიები ადვოკატ დ. მ.-ის მიერ არაკვალიფიციური იურიდიული მომსახურების გაწევისა და საქმის შედეგებთან დაკავშირებით გარანტიების მიცემის ნაწილში. საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების შეფასების, მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ დადასტურდა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ საქმის არაკვალიფიციურად წარმართვისა და კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტი და მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.

4.3 საჩივრის ავტორი 2018 წლის 6 დეკემბერს ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ განცხადებაში ძირითად პრეტენზიად ისევ მიუთითებს ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე, მან აღნიშნული პრეტენზიის გასამყარებლად წარმოადგენა მის საქმეზე სასამართლო სხდომის ოქმი. სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ადვოკატი დ. მ. ახორციელებს საადვოკატო მოქმედებებს: შეკითხვებს უსმევს მოწმეს და სასამართლოს წარუდგენს კლიენტის პოზიციას. საჩივრის ავტორის მიერ ამ მტკიცებულების წარმოდგენით, კოლეგიას მიაჩნია, რომ არ გამოიკვეთა ახალი გარემოება, რომელიც წინა დისციპლინური სამართალწარმოებისას არ ყოფილა გამოკვლეული.

4.4 კოლეგიამ იმსჯელა ავტორის პრეტენზიაზე, რომ მას ადვოკატმა ცრუ დაპირებები მისცა საქმის შედეგებთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ ლ. გ.-მა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით გარანტიების მიცემის ფაქტი ვერ დაადასტურა 2016 წლის 28 ივნისს წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, ხოლო კომისიისათვის განცხადებით მეორედ მომართვის შემთხვევაში მას არ წარმოუდგენია განსხვავებული და უფრო სარწმუნო მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც კოლეგია საქმესთან დაკავშირებით განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

4.5 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატი გაურიგდა მოწინააღმდეგე მხარეს, თუმცა ამ ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე მხოლოდ ეს მითითება ვერ გახდება დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი და არ წარმოშობს საქმის ხელახალი განხილვის აუცილებლობას.

4.6 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე“.

4.7 ლ. გ.-ის მიერ 2016 წლის 28 ივნისს ზემოთ მითითებული პრეტენზიები უკვე აქვს შეფასებული ეთიკის კომისიას 2016 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, ამ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის და დებულების თანახმად, იგივე საკითხების თავიდან განხილვა, ვერ მოხდება, თუ არ არის წარმოდგენილი ახალი მტკიცებულება, რომლის გათვალისწინებით გამართლებულია განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. ასეთი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

4.8 კოლეგიის შეფასებით, ეთიკის კომისიის რესურსის არაგონივრულ ხარჯვას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ საჩივრის განხილვის შემდეგ ისეთი პრეტენზიებით განმეორებითი

საჩივრით მომართვა, რაც უკავშირდება ეთიკის კომისიის მიერ შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებს ან ახალი საჩივრით ისეთ გარემოებებზე დავა, რაც საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო საჩივრის პირველად შემოტანისას. საჩივარი უნდა იყოს მომზადებული, დასაბუთებული და საჩივრის შემოტანამდე მხარე უნდა ჩამოყალიბდეს რა გარემოებების გამოკვლევა სურს ეთიკის კომისიაში. კომისიისათვის საჩივარში არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან საჩივრის განმეორებითი შემოტანა იმ საფუძვლით, რომ მხარეს სურს კომისიამ ხელახლა შეაფასოს ის გარემოებები, რასაც ერთხელ უკვე დაეყრდნო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, გაუმართლებელია.

4.9 საჩივრის ავტორის ერთ-ერთი პრეტენზია ეხება დისციპლინური კოლეგიის მიერ 2016 წლის 28 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საჩივრის ავტორის მოსაზრებით დაშვებულ შეცდომას, ადვოკატის მიერ მისთვის გადაცემული თანხის ოდენობის ნაწილში. მართალია, აღნიშნული პრეტენზია ლ. გ.-ს ვერ ექნებოდა ეთიკის კომისიისათვის თავდაპირველად მომართვის ეტაპზე, თუმცა ასეთი სახის პრეტენზიებს კომისია ვერ გაიზიარებს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რადგან დისციპლინურ კოლეგიამ თანხის კონკრეტული ოდენობა მიუთითა გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, ხოლო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითება თანხის ოდენობაზე, რაც საჩივრის ავტორის მსგავსი პრეტენზიის წარმოშობის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, შესაბამისად ეს პრეტენზია ვერ გახდება ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ ახალი დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

4.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №169/18 ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/